შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2014 წლის 31 ოქტომბერი

დაბა შუახევი

„შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №29 დადგენილებაში (გამოქვეყნებული ვებგვერდი, matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.135.016108) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ჭვანის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი ჭვანა, სოფელი ტაკიძეები, სოფელი ახალდაბა, სოფელი წყაროთა, სოფელი ჭალა, სოფელი ცეკვა, სოფელი ცხემლისი; სოფელი ცივაძეები; სოფელი ხიჭაური.“.

ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი ფურტიო, სოფელი ბუთურაული, სოფელი ნიგაზეული, სოფელი ნენია“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ ქარცივაძე**